

26/08/2024



MES 5 24 0001013513

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 24 აგვისტოს 11:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=82690211489>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბეჭირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას, ასევე, ესწრებოდნენ:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - **ლამა მარგიშვილი**

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი - **თამარ კვინიკაძე**

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი - **ირინე მარგიშვილი**

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ინტერგრირებული პროგრამების დანერგვის კოორდინატორი - **თამარ მამსიკაშვილი**

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი - **ლალი კალანდაძე**

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი - **ირაკლი კუპრავა**

ავტორიზაციის ექსპერტები:

- ლევან მადათოვი
- ელენე კაკაბაძე
- ნანა შარაბიძე
- ნიკა ჯიაძე
- ალექსანდრე კეკენაძე
- ლელა მაისურაძე
- ნინო ვასაძე
- ქეთევან ბოტკოველი
- ვერიკო ჭილაძე
- თამარ გიორგობიანი
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

- ნანა შათირიშვილი
- მაია ომიაძე
- ზაირა ბერიძე
- თეა ბარამაშვილი
- ზურაბ მესხიძე
- ნინო თამაზაშვილი
- დიმიტრი ქარსელაძე
- თორნიკე თუთარაშვილი
- ქეთევან ჯანელიძე
- ირმა მეგრელიძე
- ხათუნა ბარაბაძე
- დემიდ ფასიშვილი
- მანანა მახარაშვილი
- კახაბერ ფარცვანია
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ნანა მონიავა
- ცოტნე ქორჩილავა

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი:

გენერალური დირექტორი - ნინო ჩიკვაშვილი

კონსულტანტი პროფესიული განათლების მიმართულებით - მაია თოიძე

სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლა

დირექტორი - ქეთევან ტალახაძე

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლა

დირექტორი - ირმა კაპანაძე

სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლა

დირექტორი - რუსუდან კეკელიძე

სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლა

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - თამარ ამზაშვილი

სსიპ - ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლა

დირექტორი - თამარ მელიქიძე

სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა

დირექტორი - ქეთევან ჩოქური

სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლა

დირექტორი - მედეა ქოქრაშვილი

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლა

დირექტორი - ზაქარ ერაგია

სსიპ - ქალაქ თბილისის № 82 საჯარო სკოლა

დირექტორი - მაია ხახალეიშვილი

სსიპ - ქალაქ თბილისის № 143 საჯარო სკოლა

დირექტორი - თამარ ჭარბაძე

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა

დირექტორი - ირმა ტატიშვილი

სსიპ - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა

დირექტორი - ირმა წაქაძე

სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა

დირექტორი - დავით ეცადეიშვილი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლა

დირექტორი - ნარგიზ რომანაძე

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა

დირექტორი - ნანა ხუფაცარია

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლა

დირექტორი - ლევან ღურჯკაია

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა

დირექტორი - სალომე სარალიძე

სსიპ - ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლა

დირექტორი - გიორგი ოსაძე

სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლა

დირექტორი - ჟუჟუნა გოგოლაური

სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლა

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ლელა ბლიაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 11:00 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

- [illegible]

17. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
18. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
19. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
20. სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
21. სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომაზე დამსწრე პირებს შუამდგომლობა არ ჰქონიათ.

პირველი საკითხი: შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა შარაბიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ და „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება, შემოწმების ფარგლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან/კომპონენტთან მიმართებით შეფასდა სრულ შესაბამისობაში. ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა და არ გაცემულა რეკომენდაციები.

თავმჯდომარემ ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო გამოცდილების თაობაზე და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მოსაზრებით შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმისთვის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება მიჩნეულ იქნას სსიპ კოლეჯთან „ბლექსი“ თანამშრომლობა, რაც გამოიხატება პროფესიული პროგრამების სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული რესურსების კოლეჯის მხრიდან უფასო გაზიარებით, ასევე, პროგრამების განმახორციელებლად მოაზრებული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირების კოლეჯ „ბლექსიში“ მიწვევა სწავლა - სწავლების და შეფასების პროცესების უკეთ გასააზრებლად, პოტენციური დამსაქმებლების და პარტნიორების მოძიებაში დახმარება კოლეჯის მხრიდან.

დაწესებულებას სურს ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება: „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „ვებტექნოლოგიები“, რომლებიც განხორციელდება იმიტირებულ გარემოში, როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული პროგრამის სახით. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამისთვის დაწესებულება ითხოვს 60 პროფესიული სტუდენტისთვის ზღვრული ადგილების რაოდენობას, ხოლო „ვებტექნოლოგიების“ პროგრამისთვის - 40 - ს. დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი განაცხადით „ვებტექნოლოგიების“ პროგრამისთვის მოთხოვნილი ჰქონდა 60 ადგილი. დაწესებულება გეგმავდა 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას პირველ მიღებაზე ხოლო 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას მომდევნო წელს. იქედან გამომდინარე, რომ ვებტექნოლოგიების საგანმანათლებლო სტანდარტმა განიცადა ცვლილება, დაწესებულება არსებული პროგრამის ფარგლებში მომავალ წელს ვეღარ გამოაცხადებს მიღებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებთან მსჯელობის საფუძველზე დაწესებულებამ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეამცირა 40-მდე. დაწესებულება აღჭურვილია სრულად, აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტისა და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს განმახორციელებელი პერსონალი. პროგრამებს ჰყავს ორ-ორი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთს აქვს ამ

მიმართულებით გამოცდილება, მეორე ახალბედაა. დაწესებულების ეს გადაწყვეტილება ეფუძნება იმას, რომ მოხდეს პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გაზიარება შედარებით გამოუცდელი კადრებისთვის და ამავე დროს უზრუნველყოფილია პროგრამების სწორად განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და რამდენად დამაჯერებელი იყო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთება, იმის გათვალისწინებით, რომ აჭარის რეგიონში სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ უკვე მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებს.

ნანა შარაბიძემ განმარტა, რომ რამდენადაც თავად დაწესებულება აცხადებს, სურვილი აქვთ რომ მომავალში სრულად დაფარონ განათლების სამივე საფეხური, გეგმავენ სკოლამდელი განათლების მიმართულების დამატებასაც. რაც შეეხება, უშუალოდ პროგრამების მიზანშეწონილობას, დიდია მოთხოვნა აჭარის რეგიონში, დიდია მიმართვიანობა, შესაბამისად, სავსებით გამართლებულია კიდევ ერთი პროვაიდერის შემოსვლა.

დაწესებულების გენერალურმა დირექტორმა, ნინო ჩიკვაშვილმა, პირველი რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პროფესიონალური და თანამშრომლობითი მიდგომებისთვის. პროგრესი ქმნის კიდევ ერთ, ძალიან მძლავრ შესაძლებლობას მოზარდებისთვის, რადგან დაწესებულებას აქცენტი აქვს უფრო ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებაზე. ინტეგრირებული პროგრამები უნიკალური შესაძლებლობაა მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის, რადგან კიდევ უფრო მეტ მზაობას მისცემთ მათ ჩამოაყალიბონ ინტერესები სამომავლო კარიერისთვის და პროფესიულ განვითარებაში ისინი იყვნენ უფრო კონკურენტუნარიანი, უფრო მოტივირებული, უფრო მიზანდასახულები. დაწესებულება გეგმავს, რომ პროფესიული განათლების შესაძლებლობა გააჩინოს მის სამივე ფილიალში, ანუ ბათუმს დაემატება ქუთაისის და თბილისის ფილიალებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმს (ს/კ:445740075) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმს

მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1).

საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ დატოვა საბჭოს სხდომა.

იქედან გამომდინარე, რომ საბჭოს მდივანმა, მარიამ ქუჩულორიამ დატოვა საბჭოს სხდომა, საბჭოს მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი, ტიტე ბოლქვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი 20 საკითხი პრაქტიკულად იდენტური საკითხებია და ეხებოდა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას. ყველა წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ დასკვნებში დაფიქსირებულია იდენტური შესაბამისობის რეკომენდაციები, რომლებიც ეხება როგორც ადამიანურ, ასევე, პროფესიული პროგრამების მატერიალური რესურსების განვითარების საკითხებს. რამდენადაც საბჭოს სხდომას ესწრებიან სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები და სურთ გარკვეული განმარტებების გაკეთება საკითხების განხილვამდე, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მათ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიციები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა მარგიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული საბჭოს სხდომა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ახალი რეფორმის, რომელიც სამინისტრომ დაიწყო, რაც გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული პროგრამების შეტანას და ამ პროცესის მხარდაჭერას. აღნიშნა, რომ კერძო სკოლებში პროფესიული პროგრამების განხორციელებას გაცილებით უფრო დიდი ისტორია აქვს, ხოლო საჯარო სკოლები ახლა იწყებენ ამ პროცესს, ავტორიზაციის პროცესების მსგავსად, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით დაადასტურა მხარდაჭერა და მზაობა იმ აქტივობების, მხარდამჭერი პროცესების განხორციელებისათვის, რაც საჭირო იქნება იმისთვის, რომ ხარისხიანად განხორციელდეს პროფესიული პროგრამები სკოლების მიერ. ასევე, აღნიშნა, რომ რეფორმის ფარგლებში სხვადასხვა უწყებებს შორის თანამშრომლობა იყო ძალიან კარგი მაგალითი ყველა უწყების მხრიდან სინქრონში მუშაობის, იყო ძალიან მაღალი კოორდინაცია. ლაშა მარგიშვილმა წარმატება უსურვა ყველა სკოლას, საბჭოს და ექსპერტებს და დაადასტურა, რომ საბჭოს თითოეული გადაწყვეტილება კიდევ უფრო დიდი სტიმული იქნება ყველა ჩართული მხარისთვის, რომ იმ ვადებში, რაც არის განსაზღვრული, ხშირ შემთხვევაში იმ ვადებზე ადრეც, დასრულდეს ის სამუშაოები, რაც კიდევ არის დარჩენილი საჯარო სკოლების მხარდასაჭერად.

საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა. თამარ კვინიკაძემ ხაზი გაუსვა განსახილველი საკითხების მნიშვნელოვნებას. აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინიციატივა არის სკოლებში პროფესიული განათლების შეტანა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სახით. წამოწყების განხორციელების მიზნით კომპლექსური სამუშაო გაიწია სამინისტროს და მისი სააგენტოების მხრიდან, შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, ყველა უწყება, რომელიც კვეთაში არის პროფესიულ განათლებასთან, იყო მაღალ კოორდინაციაში. პირველ ეტაპზე მოხდა სკოლების შერჩევა, რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით: ახალი სტანდარტებით უნდა ჰქონოდა მოპოვებული დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, უნდა ჰქონოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შესატყვისი ინფრასტრუქტურული რესურსი, კონტინგენტი უნდა ყოფილიყო დიდი, მოსწავლეების თვალსაზრისით და,

თავისთავად, უნდა ყოფილიყო მათი მხრიდან მზაობის დადასტურება და მოსწავლეების მხრიდან მოთხოვნა პროგრამებთან მიმართებით. შერჩეულ იქნა 20 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. ამჟამად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელსაც უძღვება სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. სკოლებმა მიიღეს მხარდაჭერა როგორც საავტორიზაციო დოკუმენტაციის მომზადების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გეგმების შემუშავებასა და ადამიანური რესურსების მოძიებასა და განვითარებაში, რაშიც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ძალიან დიდი წვლილია შეტანილი. თამარ კვინიკაძემ დასძინა, რომ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სკოლებს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, სამინისტრო აცხადებს სრულ მზაობას, რომ აბსოლუტური მხარდაჭერა ექნებათ სკოლებს, სამინისტრო უკვე მუშაობს მათი დაფინანსების სქემებზე, ეს შეიძლება იყოს ვაუჩერი გაზრდილი კოეფიციენტით, რისთვისაც შესაბამისი ცვლილება შევა მთავრობის დადგენილებაში უახლოეს პერიოდში, ასევე, განახლებული საშტატო განრიგი, რომელიც ამოქმედდება ამ 20 სკოლისთვის ახალი 2025 წლის იანვრიდან. მან იმედი გამოთქვა, რომ პროფესიული პროგრამების დანერგვის პროცესები წარიმართება ხარისხიანად, რომ პროცესს შემოუერთდება სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიც და ამით, ერთი მხრივ, უფრო ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლება ქვეყნის მასშტაბით და მეორე მხრივ, უფრო პოპულარული გახდება ახალგაზრდებში. თამარ კვინიკაძემ მაღლობა გადაუხადა ყველა ჩართულ მხარეს უმოკლეს ვადებში გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა განმარტება და დამატებითი ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზების კუთხით განსახორციელებელი აქტივობების თაობაზე, იმისთვის, რომ საბჭო ყოფილიყო დარწმუნებული მის გადაწყვეტილებებში.

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორმა, ირინე მარგიშვილმა წარმატება უსურვა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და აღნიშნა, რომ სააგენტო აღნიშნული ინიციატივის განხორციელების დასაწყისიდანვე ჩართული იყო პროცესში. სააგენტოს პასუხისმგებლობის ქვეშ არის პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება, შესაბამისად შეირჩა 300 - მდე მასწავლებელი. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შეირჩა ძირითადად სკოლების ბაზაზე, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების არჩევაში დაეხმარნენ კოლეჯები და ასევე მოძიებულ იქნა დარგის ექსპერტებს შორის ახალი მასწავლებლები. სექტემბრის პირველ რიცხვებში განხორციელდება გადამზადება აღნიშნული მასწავლებლების. საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, თუ რამდენად განგრძობადი სახე ექნებოდა აღნიშნულ ტრენინგებს, ირინე მარგიშვილმა განაცხადა, რომ სააგენტოს ფუნქციაში შედის მასწავლებლების გადამზადება, შესაბამისად, გათვალისწინებულია, საჭიროების შესაბამისად, სწავლების განმავლობაში მათი გადამზადება. ასევე, დასძინა, რომ სააგენტო პოპულარიზაციის ნაწილშიც არის ჩართული და გაწერილია მთელი წლის გეგმა, თუ როგორ უნდა აღმოუჩინონ მხარდაჭერა სკოლებს, რომ განახორციელონ ინტეგრირებული პროგრამები.

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ირაკლი კუპრაშვილმა განაცხადა, რომ საკმაოდ დიდი სამუშაო იქნა გაწეული სააგენტოს მხრიდან. შეირჩა კონტრაქტორები და აქტიურად მიმდინარეობს ოცივე სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, აღჭურვილობის და მატერიალური რესურსის ნაწილი საკმაოდ სპეციფიკური იყო, თუმცა ამჟამად უკვე გაფორმებულია კონტრაქტები და მიმდინარე წლის 10-15 სექტემბრამდე უზრუნველყოფილი იქნება მიწოდების დაწყება. ირაკლი კუპრაშვილმა დაადასტურა, რომ სწავლის დაწყებამდე მატერიალური რესურსების და აღჭურვილობის მიწოდება სრულად განხორციელდება სკოლებისთვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ლალი კალანდაძემ განაცხადა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში არსებული გამოცდილება ძალიან გამოადგათ, განახლდა ინტეგრირებული მოდულები ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, ეს პროგრამები იქნებ 2 წლიანი. დასძინა, რომ ტრენინგები, ბუნებრივია, ერთჯერადი არ იქნება და განხორციელდება ქოუჩინგი და მონიტორინგი. დაფინანსების კუთხითაც შემუშავდა სხვადასხვა ვერსიები, ბუნებრივია, რომ სკოლებს ექნებათ გაზრდილი ანაზღაურება იმისთვის, რომ ის ხარჯი, რაც იქნება პროფესიული მიმართულების დასაფინანსებლად საჭირო, იყოს ანაზღაურებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ სკოლებს მოუწევთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ასე რომ ვთქვათ, დროებითი სტრუქტურის ფარგლებში. დღევანდელი მდგომარეობით ეს ვერ გაგრძელდება დიდხანს და ვერ იქნება ეფექტიანი. სავარაუდოდ, სკოლები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ამ დროებითი სტრუქტურის ფარგლებშიც ხარისხიანი პროფესიული განათლება მიაწოდონ სტუდენტებს, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს ცალკე სტრუქტურა ჩამოყალიბებული, ისეთი, როგორსაც მოითხოვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

მეორე საკითხი: სსიპ ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით, 9 წლის ვადით, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პსდ ავტორიზაციის სტანდარტის 1.1 და 3.1 კომპონენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შემენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ აღჭურვილობას გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მოძიებაში, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო 2.2 კომპონენტი, როგორც - მეტწილად შესაბამისი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 კომპონენტების შესრულება:

- 2.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მატერიალური რესურსით აღჭურვა და პერსონალის განვითარება არაუგვიანეს 2024 წლის 17 დეკემბრისა (მეტწილი შესაბამისობა);
- 4.1 სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი. თუმცა, აღნიშნულ

დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულებამ გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, არაუგვიანეს 2025 წლის 17 დეკემბრისა (ნაწილობრივი შესაბამისობა).

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ექსპერტები მათი შეფასების გაკეთებისას დაეყრდნენ ცენტრის მიერ მიწოდებულ, ეგრეთწოდებულ, საგარანტიო წერილებს და სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. აღნიშნულ სხდომაზეც შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ დარჩენილი სამუშაოების დასრულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში მოსწრებადია. პროცესები ვიზიტებიდან დღემდე წინ არის წასული, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო გეგმების კორექტირება. შესაბამისად, სტუდენტები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ამას არ ემუქრება რაიმე საფრთხე თუნდაც დროებითი სტრუქტურის ფარგლებში. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდება ეს დროებითი პოზიციები. საწყის ეტაპზე შესაძლებელია, რაღაც კუთხით, კარგი იყოს დირექტორის ან დირექტორის მოადგილის ამ პროცესებში უშუალო ჩართულობა, თუმცა აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს განახლებული სრულფასოვანი სტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლას (ს/კ:233137717) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 მარტი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და

საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 24 ოქტომბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

მესამე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მადათოვმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და „გრაფიკული დიზაინის“ და „ბადის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, 9 წლის ვადით, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პსდ ავტორიზაციის სტანდარტის 1.1 და 3.1 კომპონენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შემენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ აღჭურვილობას გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მოძიებაში ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო 2.2 კომპონენტი როგორც - მეტწილად შესაბამისი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაცა, რომ დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 კომპონენტების შესრულება:

- 2.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მატერიალური რესურსით აღჭურვა და პერსონალის განვითარება არაუგვიანეს 2024 წლის 17 დეკემბრისა (მეტწილი შესაბამისობა);
- 4.1 სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულებამ გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, არაუგვიანეს 2025 წლის 17 დეკემბრისა (ნაწილობრივი შესაბამისობა).

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ექსპერტები მათი შეფასების გაკეთებისას დაეყრდნენ ცენტრის მიერ მიწოდებულ, ეგრეთწოდებულ, საგარანტიო წერილებს და სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. აღნიშნულ სხდომაზეც შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ დარჩენილი სამუშაოების დასრულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში მოსწრებადია. პროცესები ვიზიტებიდან დღემდე წინ არის წასული, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო გეგმების კორექტირება. შესაბამისად, სტუდენტები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ამას არ ემუქრება რაიმე საფრთხე თუნდაც დროებითი სტრუქტურის ფარგლებში. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დიდხანს ვერ

გაგრძელება ეს დროებითი პოზიციები. საწყის ეტაპზე შესაძლებელია, რაღაც კუთხით, კარგი იყოს დირექტორის ან დირექტორის მოადგილის ამ პროცესებში უშუალო ჩართულობა, თუმცა აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს განახლებული სრულფასოვანი სტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლას (ს/კ:239402927) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 მარტი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „გრაფიკული დიზაინის“ და „ბაღის დიზაინის“ პროგრამების ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 24 ოქტომბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

- დიახ

საბჭოს წევრ ხათუნა ჩხარტიშვილს სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლასთან აქვს აცხადება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ჭუჭულაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებას მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 9 წლის ვადით. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პსდ ავტორიზაციის სტანდარტის 1.1 და 3.1 კომპონენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შემენის პროცესს განხორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ აღჭურვილობას გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მოძიებაში ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. შესაბამისად,

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო 2.2 კომპონენტი როგორც - მეტწილად შესაბამისი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა/გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის No2-135 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება, დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის No2-135 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
- 4.1.1.3. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურის სრულყოფა, სადაც განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის პოზიცია. დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის No2-135 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად. ბ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მახარაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და „სარესტორნო მომსახურების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებას მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 9 წლის ვადით. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

თავმჯდომარემ ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო გამოცდილების თაობაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს უცხო ენების სწავლებით ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა თანამედროვე ინტერკულტურული სივრცის ღირსეულ წევრად ფორმირებასა და მათ ავტონომიურობას. ამ მიზნის, რეალიზაციისთვის, სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენს გერმანული ენის სწავლება, და მოსწავლეებისა და კურსდამთავრებულების გერმანულენოვან საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის No1 საჯარო სკოლა არ იფარგლება მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობით და სწავლების პარალელურად სხვადასხვა მრავალფეროვან ღონისძიებებსა და პროექტებშია ჩართული. ერთ-ერთ ასეთ პროექტს წარმოადგენს DSD პროგრამა. ქუთაისის No1 საჯარო სკოლა, ერთადერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელსაც შეუძლია განახორციელოს DSD სერტიფიცირება, რაც მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს, შესაბამისი დონის დიპლომის (Deutsches Sprachdiplom I) ფლობის შემთხვევაში, სწავლა განაგრძონ გერმანიის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. სკოლის ეს მიდგომა, ერთი მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეებისა და სტუდენტების კარიერულ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, საუკეთესო ინსტრუმენტია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ინტერნაციონალიზაციისთვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პსდ ავტორიზაციის სტანდარტის 1.1 და 3.1 კომპონენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შემენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ აღჭურვილობას გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მომზადებაში ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო 2.2 კომპონენტი როგორც - მეტწილად შესაბამისი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1 კომპონენტი ფარგლებში დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება და შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: არაუგვიანეს 17.12.2025).

- 2.2 კომპონენტის ფარგლებში:
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა: არაუგვიანეს 17.12.2024).
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული (დარგობრივი) მოდულებისთვის ერთზე მეტი განმახორციელებელი პირის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმის ვადების გათვალისწინებით (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა: არაუგვიანეს 17.12.2024).
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა: არაუგვიანეს 17.12.2024).
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა: არაუგვიანეს 17.12.2024).
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა: არაუგვიანეს 17.12.2024).

ექსპერტთა მიერ გაიცა შემდეგი **განმავითარებელი რეკომენდაციები**:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ 2.1 კომპონენტი:
 - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მოახდინოს რესურსების სრულყოფილი და დეტალური ანალიზი.
 - შევიდეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლებში და მითითებული იქნეს კონკრეტული მარეგულირებელი აქტები, რომელთა საფუძველზეც განახორციელა დაწესებულებამ პროგრამის შემუშავება/ადაპტაცია.
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ - 2.2 კომპონენტი:
 - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის და მასში ცვლილების განხორციელების პროცედურის შემუშავება, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, ასევე რენტაბელობის ზღვარის გამოთვლის წესი, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას და ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში პროგრამების ბიუჯეტის შედგენისას ერთგვაროვან მიდგომას.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ - 2.1 კომპონენტი:
 - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მოახდინოს რესურსების სრულყოფილი და დეტალური ანალიზი.

- საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს შემუშავების საფუძვლები და შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ექსპერტები მათი შეფასების გაკეთებისას დაეყრდნენ ცენტრის მიერ მიწოდებულ, ეგრეთწოდებულ, საგარანტიო წერილებს და სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. აღნიშნულ სხდომაზეც შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ დარჩენილი სამუშაოების დასრულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში მოსწრებადია. პროცესები ვიზიტებიდან დღემდე წინ არის წასული, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო გეგმების კორექტირება. შესაბამისად, სტუდენტები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ამას არ ემუქრება რაიმე საფრთხე თუნდაც დროებითი სტრუქტურის ფარგლებში. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდება ეს დროებითი პოზიციები. საწყის ეტაპზე შესაძლებელია, რაღაც კუთხით, კარგიც იყოს დირექტორის ან დირექტორის მოადგილის ამ პროცესებში უშუალო ჩართულობა, თუმცა აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს განახლებული სრულფასოვანი სტრუქტურა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლას (ს/კ:212708042) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 18**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 მარტი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „სარესტორნო მომსახურების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამების ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 21 ნოემბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

მეცხრამეტე საკითხი: სსიპ - ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მახარაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებას მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 9 წლის ვადით. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პსდ ავტორიზაციის სტანდარტის 1.1 და 3.1 კომპონენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც

აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ აღჭურვილობას გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მოძიებაში ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო 2.2 კომპონენტი როგორც - მეტწილად შესაბამისი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1 კომპონენტი ფარგლებში დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 17.12.2025).
- 2.2 კომპონენტის ფარგლებში:
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 17.12.2024).
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულისთვის ერთზე მეტი განმახორციელებელი პირის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 17.12.2024).
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 17.12.2024).

ექსპერტთა მიერ გაიცა შემდეგი **განმავითარებელი რეკომენდაციები**:

- 1.1 კომპონენტი:
 - დაწესებულებამ უზრუნველყოს მისიაში უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს პროფესიული განათლების მიზანი/მიზნები.
 - სასურველია მისიაში უფრო ნათლად იყოს აქცენტი პროფესიულ განათლებასა და პროფესიულ სტუდენტზე.
- 4.1 კომპონენტი:
 - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს წინმსწრებად სამუშაო აღწერილობების პერსონალისთვის გაცნობა.
- 2.1 კომპონენტი:
 - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მოახდინოს რესურსების სრულყოფილი და დეტალური ანალიზი.

- შევიდეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლებში და მითითებული იქნეს კონკრეტული მარეგულირებელი აქტები, რომელთა საფუძველზეც განახორციელა დაწესებულებამ პროგრამის შემუშავება/ადაპტაცია.

• 2.2 კომპონენტი:

- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის და მასში ცვლილების განხორციელების პროცედურის შემუშავება, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, ასევე რენტაბელობის ზღვარის გამოთვლის წესი, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას და ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში პროგრამების ბიუჯეტის შედგენისას ერთგვაროვან მიდგომას.

• 2.4 კომპონენტი:

- სასწავლო პროცესისა და სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია მოდული „დინამიური ვებგვერდის შექმნა typescrip-ის საშუალებით - 06.1.1.4“ (განხორციელების პერიოდი: მე-2 სასწავლო წელი 1-12 კვირა) უნდა ისწავლებოდეს „ვებ გვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შექმნა React - ის საშუალებით 06.1.1.5 „ (განხორციელების პერიოდი: მე-2 სასწავლო წელი 13-25 კვირა) პარალელურად, ან უკეთეს შემთხვევაში მისი დასრულების შემდეგ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ექსპერტები მათი შეფასების გაკეთებისას დაეყრდნენ ცენტრის მიერ მიწოდებულ, ეგრეთწოდებულ, საგარანტიო წერილებს და სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. აღნიშნულ სხდომაზეც შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ დარჩენილი სამუშაოების დასრულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში მოსწრებადია. პროცესები ვიზიტებიდან დღემდე წინ არის წასული, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო გეგმების კორექტირება. შესაბამისად, სტუდენტები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ამას არ ემუქრება რაიმე საფრთხე თუნდაც დროებითი სტრუქტურის ფარგლებში. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდება ეს დროებითი პოზიციები. საწყის ეტაპზე შესაძლებელია, რაღაც კუთხით, კარგიც იყოს დირექტორის ან დირექტორის მოადგილის ამ პროცესებში უშუალო ჩართულობა, თუმცა აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს განახლებული სრულფასოვანი სტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლას (ს/კ:212805767) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 19).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 მარტი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „Front-end დეველოპმენტის“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 21 ნოემბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

მეოცე საკითხი: სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მოისწრაფიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებას მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 9 წლის ვადით. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პსდ ავტორიზაციის სტანდარტის 1.1 და 3.1 კომპონენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შემენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ აღჭურვილობას გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მოძიებაში ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო 2.2 კომპონენტი როგორც - მეტწილად შესაბამისი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 2.2.1.1. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს საგანმანათლებლო სივრცეების გარემოების აღჭურვა მატერიალური რესურსით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის დანართის შესაბამისად დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის N2-184 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.
- 2.2.1.2. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შევსება დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის N2-184 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

- 2.2.1.3. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარება დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის N2-184 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.
- 2.2.1.5. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის მოძიება/განვითარება დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის N2-184 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.
- 4.1.1.1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის No2-181 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებისთვის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებასა და დასახული მიზნის მიღწევას. საჭიროა დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ვადების დაცვით (2025 წლის 17 დეკემბრამდე, 18 თვის ვადაში). გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, ამდენად, ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.
- 4.1.1.2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის No2-181 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას და საჭიროა დაწესებულებამ გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის N2-184 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2025 წლის 17 დეკემბრამდე, 18 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

ექსპერტთა მიერ გაიცა ერთი **განმავითარებელი რეკომენდაცია** - 2.2.1.1. სასურველია სპორტული დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისის მიღება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ექსპერტები მათი შეფასების გაკეთებისას დაეყრდნენ ცენტრის მიერ მიწოდებულ, ეგრეთწოდებულ, საგარანტიო წერილებს და სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. აღნიშნულ სხდომაზეც შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ დარჩენილი სამუშაოების დასრულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში მოსწრებადია. პროცესები ვიზიტებიდან დღემდე წინ არის წასული, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო გეგმების კორექტირება. შესაბამისად, სტუდენტები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ამას არ ემუქრება რაიმე საფრთხე თუნდაც დროებითი სტრუქტურის ფარგლებში. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დიდხანს ვერ

გაგრძელება ეს დროებითი პოზიციები. საწყის ეტაპზე შესაძლებელია, რაღაც კუთხით, კარგი იყოს დირექტორის ან დირექტორის მოადგილის ამ პროცესებში უშუალო ჩართულობა, თუმცა აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს განახლებული სრულფასოვანი სტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლას (ს/კ:224081437) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 20).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 მარტი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „Front-end დეველოპმენტის“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 21 ნოემბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

ოცდამეერთე საკითხი: სსიპ -ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითააცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მოისწრაფიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და „Front-end დეველოპმენტის“ და „ბალის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებას მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 9 წლის ვადით. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პსდ ავტორიზაციის სტანდარტის 1.1 და 3.1 კომპონენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შემენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ აღჭურვილობას გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მოძიებაში ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლით

ინსტიტუციური სტანდარტებისთვის:

- 4.1.1.1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებისთვის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებასა და დასახული მიზნის მიღწევას. საჭიროა დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ვადების დაცვით (2025 წლის 17 დეკემბრამდე, 18 თვის ვადაში). გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, ამდენად, ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.
- 4.1.1.2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას და საჭიროა დაწესებულებამ გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2025 წლის 17 დეკემბრამდე, 18 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი ნაწილობრივ

ექსპერტთა მიერ გაიცა ერთი **განმავითარებელი რეკომენდაცია** - 2.2.1.1. სასურველია სპორტული დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისის მიღება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ექსპერტები მათი შეფასების გაკეთებისას დაეყრდნენ ცენტრის მიერ მიწოდებულ, ეგრეთწოდებულ, საგარანტიო წერილებს და სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. აღნიშნულ სხდომაზეც შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ დარჩენილი სამუშაოების დასრულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში მოსწრებადია. პროცესები ვიზიტებიდან დღემდე წინ არის წასული, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო გეგმების კორექტირება. შესაბამისად, სტუდენტები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ამას არ ემუქრება რაიმე საფრთხე თუნდაც დროებითი სტრუქტურის ფარგლებში. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდება ეს დროებითი პოზიციები. საწყის ეტაპზე შესაძლებელია, რაღაც კუთხით, კარგი იყოს დირექტორის ან დირექტორის მოადგილის ამ პროცესებში უშუალო ჩართულობა, თუმცა აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს განახლებული სრულფასოვანი სტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 6


წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლას (ს/კ:226157342) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 21).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 მარტი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „Front-end დეველოპმენტის“ და „ბადის დიზაინის“ პროგრამების ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 21 ნოემბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

დღისწესრიგით გათვალისწინებულისაკითხების განხილვა დასრულდა 17:27 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
ბოლქვაძე ტიტე



